ანგარიში ფინანსური მდგრადობის შესახებ

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით

სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული ყველა აქტივობა არის ფინანსურად უზრუნველყოფილი. საოპერაციო ანგარიშები პროფიციტულია.

ბაზრის ანალიზი და მოთხოვნა

თბილისში კერძო სკოლების დიდი და მრავალფეროვანი არჩევანია. ჩვენი სკოლა როგორც ალტერნატიული პედაგოგიკის მიმწოდებელი, იკავებს თავის ნიშას და დაწესებულებები, რომლებიც უშუალო კონკურენტებად მოიაზრებიან, ბევრი არ არის. გარდა ამისა, სკოლასშეუძლია შეინარჩუნოს სკოლის შედარებით დაბალი გადასახადი. და ეს ორი ფაქტორი დადებითად მოქმედებს მოთხოვნაზე.
სკოლა აქვს პოტენციალი, გაზარდოს ცნობადობა საზოგადოებაში. ამ ეტაპზე ეს ხორციელდება მხოლოდ პირადი რეკომენდაციებითა და სოციალურ მედიით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

სკოლა ფუნქციონირებს 24 ფინანსური კლასით, სკოლას სრულ ტევადობამდე აკლია მხოლოდ 30 მოსწავლე.

საგანმანათლებლო წრეები

საგანმანათლებლო წრეები, რომლებიც არსებობს სკოლის პარალელურად, დღის მეორე ნახევარში, ამჟამად მომგებიანია და ეს მიმართულება შეიძლება კიდევ გაფართოვდეს.

იჯარა

სკოლას იჯარით აქვს გაცემული ფართები (კვების ობიექტის და წრეენის ფუნქციონირებისთვის), საიდანაც ღებულობს დამატებით შემოსავალს..

მომსახურების ხარისხი და მომხმარებელთა კმაყოფილება

სკოლა უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ ხარისხს. ამ მიმართულებით სააღმზრდელო და სასწავლო პროგრამების ხარისხი ცენტრალური ელემენტია. პერსონალის მუდმივი გადამზადების სისტემა გამართულია.

მომსახურების მაღალი ხარისხის თვალსაჩინო მაჩვენებელია მომხმარებელთა უკუკავშირი, მათი კმაყოფილება: რეგულარულად ჩატარებული გამოკითხვები ცხადყოფს, რომ მშობლები ძალიან კმაყოფილნი არიან როგორც სწავლების ხარისხით, ასევე ადმინისტრაციის საკომუნიკაციო პოლიტიკით. აღსანიშნავია ასევე ის, რომ ბავშვის სხვა დაწესებულებაში გადაყვანა ძალზე იშვიათია და მხოლოდ გარე ფაქტორებით არის განპირობებული.

თანამშრომელთა კმაყოფილება

თანამშრომლები სამუშაო პირობებს პოზიტიურად აფასებენ. ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს სამუშაო ადგილზე. მათ მიერ დადებითად შეფასებულია გამჭვირვალე და ჰორიზონტალური მენეჯმენტის კულტურა, ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. თანამშრომლები პედაგოგიური საქმიანობის განსაკუთრებულობას უსვამენ ხაზს და დაკისრებული ამოცანების შესრულება მათთვის თვითრეალიზაციის შესაძლებლობად განიხილება. ანაზღაურება მზარდია საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად.

გამჭვირვალე ფინანსური მენეჯმენტი

თანამშრომლებთან კონსულტაციით სკოლა შეიმუშავებს ბიუჯეტს და ყურადღებით აკვირდება ხარჯვით ნაწილს. ორგანიზაციაში განსაზღვრულია სწავლის გადასახადი და ის საჯაროდ გამოქვეყნებულია ვებგვერდზე.

მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა

ხარჯების სტრუქტურაში დომინირებს თანამშრომელთა ანაზღაურება, რაც დაახლოებით 92%-ს შეადგენს.
მიღებული შემოსავლის უმეტესი ნაწილი (6%) მოდის გადასახადებიდან (სწავლის საფასური). დამატებითი შემოსავლები (წრე, იჯარა) დაახლოებით 2%-ს შეადგენს.

გასული წლის ბიუჯეტის ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სკოლა ფინანსურად მდგრადია.